

ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია

ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს სხვადასხვა სახის რესურსების (ადამიანური რესურსები, ტექნიკა, ტექნოლოგია, ინფორმაციული ქსელები და ა.შ.) შერწყმას, რაც შედეგის სახით იძლევა საქონლის და/ან მომსახურების სხვადასხვა სახეს. ეკონომიკურ საქმიანობაში მოიაზრება რესურსების გამოყენება, წარმოების პროცესის არსებობა და შესაბამისად, პროდუქტის გამოშვება.

პრაქტიკაში, სუბიექტთა უმრავლესობა დაკავებულია შერეული ხასიათის საქმიანობით (ერთდროულად ახორციელებს ერთზე მეტ საქმიანობის სახეს). შესაბამისად განასხვავებენ:

- ძირითად საქმიანობას,
- არაძირითად საქმიანობას,
- დამხმარე საქმიანობას.

ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც გამოირჩევა კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტის მიერ მთლიანი დამატებული ღირებულების შექმნაში უდიდესი წილით.

ამგვარად, არ არის აუცილებელი ძირითადი საქმიანობის წილად მოდიოდეს ეკონომიკური სუბიექტის მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 50 პროცენტი ან მეტი.

დამხმარე საქმიანობა წარმოადგენს საქმიანობის სახეებს, რომლებიც ქმნიან პირობებს სუბიექტის მიერ ეკონომიკური საქმიანობების (ძირითადი და არაძირითადი) განსახორციელებლად (საბუღალტრო აღრიცხვა, ტრანსპორტირება, შენახვა, ყიდვები, რეკლამა, რემონტი და ტექნიკური მომსახურება).

ეკონომიკური საქმიანობის სახეები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში “ეკონომიკური საქმიანობის სახეები” (სეკ 006-2016), რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ევროპულ კლასიფიკატორს NACE (Nomenclature des Activités de Communauté Européenne).

კომერციულ (სამენარმეო) საქმიანობას “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი განმარტავს როგორც მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე და ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

საწარმო არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს). საწარმო ახორციელებს ერთ ან რამოდენიმე საქმიანობის სახეს, ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით. საწარმო შეიძლება იყოს ინდივიდუალური (ფიზიკური) ან იურიდიული პირი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოები ზომის მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე.

2017 წლამდე საწარმოთა ზომა განისაზღვრებოდა შემდეგი მეთოდოლოგიით:

მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ. ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ. ლარს.

2017 წლიდან საწარმოთა ზომის განსაზღვრის შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს:

მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს.

ბრუნვა არის საანგარიში პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწვევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები.

პროდუქციის გამოშვება განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

პროდუქციის გამოშვება საბაზისო ფასებში განისაზღვრება შემდეგნაირად:
ბრუნვა

+ კაპიტალიზებული საქონელი და მომსახურება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- დანახარჯები გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე
- + სუბსიდიები პროდუქტებზე
- +/- დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილება
- +/- მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება
- +/- გადასაყიდად განკუთვნილი საქონლის მარაგების ცვლილება
- = პროდუქციის გამოშვება საბაზისო ფასებში

ვაჭრობაში, საშუამავლო საქმიანობაში, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში) პროდუქციის გამოშვება არის საწარმოს მიერ რეალიზებული საქონლისა (მომსახურების) და მისი ნასყიდობის (შეძენის) ღირებულებებს შორის სხვაობა;

კაპიტალიზებული პროდუქცია (საკუთარი სარგებლობისათვის წარმოებული პროდუქცია) გულისხმობს იმ საქონლის ღირებულებას, რომელიც წარმოებულია საკუთარი ძალებით და რჩება მწარმოებლებს საკუთარი საბოლოო მოხმარებისა თუ ინვესტირებისათვის. უკანასკნელში მოიაზრება როგორც ძირითადი მატერიალური, ისე არამატერიალური აქტივების (პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და ა.შ.) წარმოება. საკუთარი სარგებლობისათვის შექმნილი პროდუქცია ის პროდუქციაა, რომელიც არ იყიდება და მისი ღირებულება შეფასდება ძირითადი ფასების მიხედვით, რომელიც არსებობს მსგავს პროდუქციაზე. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ შეფასება მოხდება წარმოების ხარჯების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზებული საქონელი შეიძლება ჩართული იქნეს ინვესტიციებშიც.

საქონლისა და მომსახურების ყიდვებში იგულისხმება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ყველა სახის საქონლისა და მომსახურების ყიდვების ჯამი, მიუხედავად იმისა, საქონელი და მომსახურება განკუთვნილია თუ არა ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის.

გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებში იგულისხმება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესყიდული საქონელი და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის. მაჩვენებელი გაანგარიშდება შესყიდვის ფასებში დღგ-სა და აქციზის გარეშე.

დასაქმებულთა რაოდენობაში იგულისხმება საწარმოში დასაქმებულ პირთა (დაქირავებულები, დასაქმებული დამფუძნებლები და საოჯახო საწარმოს შემთხვევაში – დასაქმებული ოჯახის წევრები) საშუალო რაოდენობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

დაქირავებულ პირთა რაოდენობაში იგულისხმება საწარმოში დასაქმებული პირები, რომელთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებით, ანუ კონტრაქტით და რომელთაც დაერიცხათ და/ან მიეცათ ხელფასი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმებულთა და დაქირავებულ პირთა რაოდენობის გაანგარიშების წარმოდგენის მიზნით განხილული მაგალითები:

ვთქვათ, I თვის (31 დღე) 1-დან 12 რიცხვის ჩათვლით (ანუ 12 დღის მაძილზე) საწარმოში მუშაობდა 30 კაცი, ხოლო 13-დან 31-ის ჩათვლით (ანუ შემდეგი 19 დღის მანძილზე) - 50 კაცი. შესაბამისად, I თვეში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა იქნება: $(12 \times 30 + 19 \times 50) / 31 = 42.3$. ანალოგიურად გაანგარიშდება დანარჩენ თვეებში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა. დასაქმებულ პირთა საშუალოწლიური რაოდენობა კი წარმოადგენს 12 თვის მიხედვით მიღებულ მაჩვენებელთა საშუალო არითმეტიკულს, ანუ: საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით გაანგარიშებული დასაქმებულ პირთა საშუალოთვიური რაოდენობის ჯამი უნდა გაიყოს 12-ზე.

არასრული სამუშაო დღით ან არასრული სამუშაო კვირით დასაქმებულები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დასაქმებულთა რაოდენობაში ჩაირთვებიან მათ მიერ ფაქტიურად ნამუშევარი დროის პროპორციულად (პირველ რიგში თვეში ნამუშევარი კაც-საათები იყოფა სამუშაო დღის ნორმალურ ხანგრძლივობაზე, შემდეგ კი სამუშაო დღეების რაოდენობაზე). მაგალითად, საწარმოში, სადაც ნორმირებული სამუშაო დღის ხანგრძლივობაა 8 საათი, ხოლო თვეში სამუშაო დღე - 23 (ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემთხვევაში), თუ პიროვნებამ იმუშავა 92 კაც-საათი, თვეში დასაქმებულთა საშუალო თვიურ რაოდენობაში ის ჩაითვლება, როგორც 0.5 კაცი ($92 / 8 / 23 = 0.5$). დასვენების და უქმე დღეებში დასაქმებულთა რაოდენობად ჩაითვლება წინა სამუშაო დღის დასაქმებულთა რაოდენობა. მაგალითად, თუ საწარმოს სამუშაო კვირის ხანგრძლივობაა 5 დღე და პარასკევს იმუშავა 40 კაცმა, მაშინ შაბათს და კვირას დასაქმებულთა რაოდენობად ჩაითვლება 40 კაცი. თუ საწარმო არ ფუნქციონირებდა მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (სეზონური საწარმო და სხვა), მაშინ დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობის გასაანგარიშებლად საჭიროა დავაჯამოთ ნამუშევარი თვეების დასაქმებულთა საშუალო თვიური რიცხოვნობები და მიღებული ჯამი გავყოთ 12-ზე. თუ მომუშავეს ამ საწარმოს გარდა სხვა სამუშაოც აქვს (საკუთარი საქმის ან საკუთარ მამულში მუშაობის ჩათვლით), ძირითად სამუშაოდ ჩაითვლება ის, სადაც იგი მეტ დროს ხარჯავს (მიუხედავად შემოსავლის სიდიდისა).

შრომითი დანახარჯები იანგარიშება საანგარიშო პერიოდში დასაქმებულ პერსონალზე დარიცხული ყველანაირი ხარჯების შეჯამებით: შრომის ანაზღაურება (ხელფასი, დანამატი, პრემია, საშვებულებო დახმარება, საკომპენსაციო გასაცემლები და სხვ.), რომელიც დაერიცხა დასაქმებულ პერსონალს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) ან გაიწა ნატურალური სახით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. აგრეთვე სოციალური დახმარება საწარმოს სახსრებიდან, ხარჯები საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურული და სხვა ასპექტით).

დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში ეყრდნობა გამოშვებულ პროდუქციას, რომელსაც ემატება სუბსიდიები პროდუქტებზე, აკლდება საქონლისა და მომსახურების ყიდვები (გარდა უცვლელად გადაყიდვისათვის შეძენილი პროდუქტისა), აგრეთვე აკლდება ან ემატება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნედლეულის, მასალებისა და სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება. აღნიშნული სიდიდე წარმოადგენს დამატებულ ღირებულებას საბაზისო ფასებში, რომელიც შეფასებულია ეკონომიკური ერთეულის წარმოებითი საქმიანობის სხვადასხვა ფაქტორული ხარჯების ღირებულების მიხედვით.

დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში განისაზღვრება შემდეგნაირად:
ბრუნვა

- საქონლისა და მომსახურების ყიდვები
- +/- საქონლისა და მომსახურების მარაგების ცვლილება
- + კაპიტალიზებული პროდუქცია
- + სუბსიდიები პროდუქტებზე
- = დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში

შუალედური მოხმარება განისაზღვრება როგორც იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც მოხმარებულია დანახარჯების სახით წარმოების პროცესში. ამ შემთხვევაში გამორიცხულია ფიქსირებული აქტივები (ძირითადი კაპიტალი), რომლის მოხმარება განიხილება როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება. საქონელი და მომსახურება წარმოების პროცესში შეიძლება იქნეს გამოყენებული ან ტრანსფორმირებული.

შუალედური მოხმარება განისაზღვრება შემდეგნაირად:
საქონლისა და მომსახურების ყიდვები

- საქონლისა და მომსახურების ყიდვები უცვლელ მდგომარეობაში გადაყიდვისათვის
- +/- ნედლეულის და მასალების, სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება
- = შუალედური მოხმარება

ფიქსირებული აქტივები (ძირითადი კაპიტალი) განისაზღვრება როგორც წარმოებითი აქტივები, რომლებიც მრავალჯერ ან ხანგრძლივად (ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში) გამოიყენება წარმოების პროცესში.